ადიგენის მუნიციპალიტეტი



ადიგენის მუნიციპალიტეტის ადიგენი-უდე-არალის შიდა სახელმწიფოებრივი გზიდან სოფელ გორგულიდან შოშხოთის მიმართულებით გზის მოასფალტებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
CPV71300000

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ “ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე.

დ. ადიგენი
2016 წელი

სარჩევი

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

რეკვიზიტები, დანართი №1

ფასების ცხრილი, დანართი №2

დანართი №3

დანართი №4

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

1.1 ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **ადიგენის მუნიციპალიტეტის ადიგენი-უდე-არალის შიდა სახელმწიფოებრივი გზიდან სოფელ გორგულიდან შოშხოთის მიმართულებით გზის მოასფალტებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვა** და საექსპერტო დასკვნის მომზადება. (დანართი №2)

ადიგენი-უდე-არალის შიდასახელმწიფოებრივი გზიდან შოშხოთის მიმართულებით ადგილობრივი მნიშვნელობის 2,8 კმ-ის სიგრძის გზა გადის სოფელ გორგულზე და დასავლეთის მიმართულებით მიემართება შოშხოთის ეკლესიის მიმართულებით. გზის რელიეფი როგორც სოფელ გორგულში ასევე მის შემდგომაც საკმაოდ რთულია და სიმაღლეებშიც დიდი ცვალებადობაა, საპროექტო სამუშაოების ჩატარებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მიწის მოჭრა გზის მინიმალურ ქანობის მიღებამდე, აუცილებელია გზის მთელ სიგრძეზე სანიაღვრე არხის მოწყობა (მათ შორის სოფელში რკ/ბეტონის არხის მოწყობა შესაბამისი ცხაურების გათვალისწინებით) წყალგამტარი და წყალგადამყვანი მილების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა გათვალისწინებული იქნას ე.წ კახარეთჰესის არხზე ხიდის მოწყობა, ხოლო პკ-2+70მ და პკ14+00მ (ათვლა ჩვენს მიერ დაწყებულია შოშხოთის ეკლესიიდან სოფლის მიმართულებით) მონაკვეთებზე უნდა აიგოს მინიმუმ 2*2მ-ზე და 3*3მ-ზე კვეთის რკ/ბეტონის წყალგამტარები. რამდენიმე ადგილზე მოსაწყობია ჭაობის წყალსაწრეტები. ეკლესიიდან დაახლოებით 170 მეტრში გზის ქვედა მხარეს უნდა მოეწყოს მანქანების გასაჩერებელი ადგილი რომელის ხევის მხრიდან უნდა შემოიფარგლოს დამცავი ბარიერებით. გზის ერთი მხრიდან მეორე მხარეს სარწყავი წყლის გადაყვანა უნდა მოხდეს ლითონის მილების საშუალებით ბეტონის მიმღებ გამშვები სათავისების მოწყობით.

შოშხოთის ეკლესიიდან სოფელ გორგულის თავამდე პკ15+20მ-მონაკვეთამდე გზა უნდა მოეწყოს ხრეშოვანი, რომელიც ზემოდან დაიფარება ფრაქციული ღორღით, გზის სიგანე საშუალოდ 4მ-ია (3,5;4;4,5). ეკლესიის მიმდებარედ და პკ 1+70მ -პკ2+00 მონაკვეთზე მოსაწყობია დამცავი გაბიონები. პკ 15+20მ მონაკვეთიდან ადიგენი-უდე-არალის საავტომობილო გზის შეერთებამდე უნდა მოეწყოს ასფალტის გზა, ასფალტის ორივე ფენის სისქე ჯამში არ უნდა იყოს 9სმ-ზე ნაკლები.

ვინაიდან რელიეფი არის ძლიერ დახრილი ამიტომ დამპროექტებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა საჭირო ღონისძიება და თანამედროვე ტექნოლოგია რათა გზა იყოს მყარი და არ მოხდეს მისი გოფრირება. სოფელში გზის რელიეფიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იქნეს დამცავი გაბიონები, დაპროექტების პერიოდში ასევე აუცილებლობიდან გამომდინარე სიტუაციურ გეგმაზე დატანილი უნდა იყოს არსებული მიწისქვესა კომუნიკაციები. გზის მთელ სიგრძეზე იქ სადაც ესაზღვრება ხევი და ფერდობი უნდა მოეწყოს დამცავი ბარიერები.

დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი;

მიმწოდებელმა უნდა უნდა უზრუნველყოს:

- შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტებზე გასვლა, საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა-დაზუსტება და შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შემსყიდველისათვის მიწოდება, როგორც ბეჭდური (5 ეგზემპლარი) ასევე ელ. ვერსია (5 ეგზემპლარი).
- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მომქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას მიმწოდებელმა უნდა იხელძღვანელოს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილებით.

- მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სრული საპროექტო დოკუმენტაციის, საექსპერტო დასკვნის მომზადება. საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო დასკვნა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ერთდროულად. ექსპერტიზის ჩამტარებელ პირს უნდა გააჩნდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს №1-1/823 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისი რეგისტრაცია.

- საავტორო ზედამხედველობის ვადაა (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება) მშენებლობის მთელი პერიოდი.

1.2 მომსახურების მიწოდების ბოლო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტცია უნდა შეიცავდეს :

1. განმარტებითი ბარათი (უნდა შეიცავდეს ობიექტის არსებული მდგომარეობის დეტალურ აღწერას);
2. სამუშაოების მოცულობათა უწყისი;
3. სიტუაციურ გეგმაზე ნიშნულების დატანა;
4. არსებული სიტუაციური ფოტომასალა (ციფრული ფორმატით);
5. განივი ჭრილები პიკეტაჟის მიხედვით;
6. გრძივი ჭრილები;
7. ტექნიკური ნახაზები;
8. სამუშაოს შესრულების გეგმა - გრაფიკი;
9. გეოლოგიური დასკვნა;
10. ტოპოგრაფიული გეგმა;
11. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა რესურსული ნორმატიული მეთოდით;

2. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

2.1 მონაწილე პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოცდილება ამ ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის (საავტომობილო გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან/და რეაბილიტაცია) საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაში. (შესაბამისად უნდა ყავდეს საავტომოლო გზების ინჟინერი და ინჟინერი ანალოგიური სამუშაოების წარმოების ამ პროექტირების გამოცდილებით).

2.2 ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №3 და №4 შესაბამისად.

2.3 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ან/და სამუშაოს შესრულების აქტების ასლები.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვისობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

3.3 ანგარიშსწორება იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებლი გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშსწორებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათავლისწინებული სხვა დოკუმენტაციის შესაბამისად 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.5 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

3.6. პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

- საბანკო რეკვიზიტები (დანართი №1);
- ფასების ცხრილი, (დანართი №2);
- ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ (დანართი №3);
- ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილების შესახებ (დანართი №4);

სატენდერო წინადადების წარმოდგენისას სატენდერო წინადადების საერთო ფასი და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით;

- სატენდერო წინადადების საერთო ფასი და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარში;

მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული.

სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 21186 ლარს, დღგ-ს გარეშე.

ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 050 000 ლარს

სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იქნას დღგ–ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ–ს გადამხდელად რეგისტრირებული). თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადებისას იქნება რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად შესაბამისი ცნობის წარმოდგენის შემდეგ დღგ-ს ოდენობა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების ღირებულებაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის", მე-9 მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული შესყიდვა წარმოადგენს ინტელექტუალური სახის მომსახურებას, შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე სატენდერო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულებას.

დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი თეა ბოჩიკაშვილი - 591 11 12 49

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №

დ. ადიგენი ---- ---------- 2016 წელი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელეტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც იმავდროულად თანადართული ექნება ხელშეკრულება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაქარია ენდელაძის სახით და მეორეს მხრივ ---------- ---------- (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ---------- ---------- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენედენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში ,,ხელშეკრულება”) ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;
1.2. ,,შემსყიდველი” ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. ,,მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც ,,შემსყიდველთან” გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა” ,,მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია **ადიგენის მუნიციპალიტეტის ადიგენი-უდე-არალის შიდა სახელმწიფოებრივი გზიდან სოფელ გორგულიდან შოშხოთის მიმართულებით გზის მოასფალტებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვა** და საექსპერტო დასკვნის მომზადება.

2.2 ხელშეკრულებით გათავლისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს;
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ,,მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.2. ,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებლი გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურეობის გაწევის ადგილად განისაზღვრება ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა, დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ№5;

7. მომსახურების მიწოდების ბოლო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველის“ უფლება აქვს:

- ,,მიწოდებულისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა;
- ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 ,,შემსყიდველი“ ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოთხოვოს ,,შემსყიდველს'' შესაბამისი სამუშაო გარემოსა და პირობების შექმნა.
- მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ შესრულებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობებით.

7.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;
- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული დანართების შესაბამისად;

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1 ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) თუ ,,მიმწოდებელი'' არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ ,,შემსყიდველისათვის'' ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ,,მიმწოდებელი'' ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) ,,მიმწოდებლის'' გაკოტრების შემთხვევაში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს'' დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.3 8. 1 პუნქტის შემთხვევებში ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 . ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9.2 ხელშეკრულების ინსპქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------;

9.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი'' დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს'' წუნდების მიზეზების მითითებით.

9.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

10.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამირი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი)%-ს ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია

11.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.

11.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა“ ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი

ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ---------- ხელშეკრულებით გათვალისწიებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ადიგენის მუნიციპალიტეტი
დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ№5;

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ზ. ენდელაძე

„მიმწოდებელი“

დანართი №1

რეკვიზიტები:

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	მომსახურე ბანკი	
8	ბანკის კოდი	
9	ანგარიშის ნომერი	
10	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი	

---------- ----------

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა ბ.ა.

დანართი №2

ფასების ცხრილი

№	შესასრულებელი სამუშაოები	შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება (ლარი)	გასაწევი მომსახურების ღირებულებაღირებულება ლარებში
1	ადიგენის მუნიციპალიტეტის ადიგენი-უდე-არალის შიდა სახელმწიფოებრივი გზიდან სოფელ გორგულიდან შოშხოთის მიმართულებით გზის მოასფალტებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის შესყიდვა და საექსპერტო დასკვნის მომზადება	1 050 000	
	ჯამი		

---------- ----------

პეტენდენტის დასახელება ხელმოწერა ბ.ა

დანართი №3

ინფორმაცია

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ

№	მომსახურების დასახელება (თოთოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების № და თარიღი	ხელშეკრულების ღირებულება	გაწეული მომსახურების ღირებულება
1					
2					
3					
...					
ჯამი					

პრეტენდენტის დასახელება

ხელმოწერა ბ.ა

დანართი №4

ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილების შესახებ

№	თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება	ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება
1				
2				
3				
...				

პრეტენდენტის დასახელება ხელმოწერა ბ.ა